სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N26/2022

ქ. თბილისი **07 აპრილი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, შპს „ღვინის ლაბორატორია“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ჯაჯანიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით ტყემალაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10-1 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N 114 დადგენილების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე ყველა იმ დოკუმენტით, რომელზედაც წინამდებარე ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შპს „ღვინის ლაბორატორია“-ს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, დაკალიბრების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა **(CPV50433000).**

2.2. შესყიდვის ობიექტის წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი, ცხრილში მოცემული მოწყობილობების დაკალიბრება განუსაზღვრელობისა და მიკვლევადობის მითითებით ISO/IEC17025:2017სტანდარტის შესაბამისად და თითოეულ ხელსაწყოზე დაკალიბრების სერტიფიკატის ან **დაკალიბრების ოქმის** გაცემა. ეს მოწყობილობებია:

	გაზომვის საშუალების დასახელება	**რაოდენობა**	**ერთ. ღირებულება (ლარი)**	**ფასი (ლარი)**
1	ბელარუსიის წარმოების, სცინტილაციური გამა-ბეტა სპექტრომეტრი „ATOMTEX-MKC-AT 1315, #15246 (გამა და ბეტა გამოსხივების დეტექტორები);	1	750.00	750.00
2	SCHOTT-ის ავტომატური ტიტრატორი - Titroline alpha plus, ბიურეტის მოცულობის გრავიმეტრულად კონტროლი (00473312);	1	54.00	54.00
3	SI Analytics-ის ავტომატური ტიტრატორი - TITRONIC 300, ბიურეტის მოცულობის გრავიმეტრულად კონტროლი (10012074);	1	54.00	54.00
4	Sartorius-ის ელექტრონული ანალიზური სასწორი CP 124S (#16304729);	1	87.00	87.00
5	Sartorius-ის ელექტრონული ანალიზური სასწორი CP 2201 (#17712141	1	100.00	100.00

6	საწონი-100 გ., E2 კლასი (G 1215840);	1	60.00	60.00
7	საწონი-2000 გ., F1 კლასი (G 1215815);	1	37.00	37.00
8	ავტომატური პიპეტი, 10 – 100 მკლ (12A 4715, 12A 4719, 12A 4721);	3	54.00	162.00
9	ავტომატური პიპეტი, 100 – 1000 მკლ (09 C 1121, 01B 5802, 01B 5096);	3	54.00	162.00
	სულ			**1466.00**

2.3. ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრულ სერტიფიკატში ასახული უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

ა) დაკალიბრების სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის დასახელება;
ბ) ორგანიზაციის (შემსყიდველი) მისამართი და დასახელება;
გ) დაკალიბრების სერტიფიკატის ნომერი;
დ) დაკალიბრების სერტიფიკატის გაცემის თარიღი;
ე) დასაკალიბრებელი საშუალების დასახელება, ტიპი, ნომერი;
ვ) ეტალონური გაზომვის საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა მეშვეობით განხორციელდა დაკალიბრება;
ზ) მიკვლევადობა;
თ) შემდგომი რეკომენდირებული დაკალიბრების თარიღი;
ი) სერტიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა;
კ) ორგანიზაციის (მიმწოდებელი) ბეჭედი;
ლ) ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა დაკალიბრება.

3. ხელშეკრულების ღირებულება, მომსახურების ერთეულის ფასი

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1466.00 (ერთიათასოთხასსამოცდაექვსი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს“.

4.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხის და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

4.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების კონტროლი აწარმოოს საკუთარი თანამშრომლის მეშვეობით ან აღნიშნული მიზნით მოიწვიოს სხვა ნებისმიერი პირი.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად, აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში (მაგ.: სერტიფიკატის არასათანადო შევსება და სხვა), მიმწოდებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ, ან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წუნი საკუთარი ხარჯებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1.მომსახურების გაწევა განხორციელდება **შემსყიდველის მიერ ხელსაწყოების მიმწოდებლის მისამართზე მიწოდებიდან** არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა

5.2. მომსახურების გაწევა იწარმოებს მიმწოდებლის მისამართზე. მომსახურების გაწევის ადგილამდე და უკან ხელსაწყოს ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

6.შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი:

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების გაწევის დასრულების შემდეგ. მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი „დაკალიბრების სერტიფიკატი“ ან "დაკალიბრების ოქმი". შემსყიდველი უფლებამოსილია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება

განახორციელოს მის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე."

7. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1.ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

7.1.2.ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, დაკალიბრების შედეგების მიუხედავად;

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1.გაუწიოს შემსყიდველს მაღალხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8.1.2. მომსახურების გაწევა განახორციელოს შესაბამის დარგში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიულ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

8.1.3. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი წუნის აღმოფხვრა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.1.4. მომსახურების გაწევა უზრუნველყოს სათანადო კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მქონე პერსონალით.

8.2.„შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1.უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის დასაკალიბრებელი საშუალების და ყველა საჭირო დოკუმენტის დროულად წარდგენა.

8.2.2. უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების/არასრული შესრულების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული/შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%- ის ოდენობით

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობი

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4. მიმწოდებელი პასუხს აგებს შემსყიდველისთვის მიყნებულ ზიანზე, კერძოდ, გადაცემული გაზომვის საშაულების დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ასეთი ზიანი გამოწვეულია მიმწოდებლის ბრალით.

9.5. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულებისთვის ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით.

10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).
11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარემ მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით.
12.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდანდა მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები
14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი – შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს „ღვინის ლაბორატორია“	**სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და**
ს.კ. 202330398	**მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო**
მის.: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გლდანის	**ს.კ. 200162224**
მაგისტრალი 4/60	**მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N67**
	მიმღების ბანკი- სახელმწიფო ხაზინა
საბანკო რეკვიზიტები:	**მიმღების დასახელება -ხაზინის ერთიანი ანგარიში**
ბანკის დასახელება:ს.ს. „თიბისი ბანკი“	**ბანკის კოდი -TRESGE22**
ბანკის კოდი: TBCBGE22	**მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი- 707177053**
ა/ა GE97TB 7528 7360 6010 0001	**ორგანიზაციული/სახაზინო კოდი - 2403**
თინათინ ჯაჯანიძე	**დავით ტყემალაძე**
დირექტორი	**გენერალური დირექტორი**
LTD Wine Laboratory Digitally signed by LTD Wine Laboratory Date: 2022.04.08 14:31:10 +04'00'	LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology Digitally signed by LEPL Georgian National Agency for Standards and Metrology Date: 2022.04.07 17:58:54 +04'00'